რათა გაცნობოდა ნეშტებს და შეეფასებინა მათი მდგომარეობა სამომავლო კვლევის თვალსაზრისით. 2021 წლის აგვისტოს თვეში, ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე მოხდა ე.წ. მე-5 სამარხის სასამართლო-არქეოლოგიური კვლევა, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის საფუძველზე და ამ სამარხიდან ამოსვენებული 28 ინდივიდის სასამართლო-ანთროპოლოგიური კვლევა გაგრძელდა ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ შენობაში მოწყობილ ანთროპოლოგიურ ლაბორატორიაში. მოხდა დაკარგულ პირთა ოჯახების/მთამომავლების მიმართება, მათი სრული ინფორმირება კვლევის შესახებ და მათგან თანხმობის საფუძველზე აღებული ნიმუშები დამ კვლევისათვის. საბოლოოდ, 2022 წლის ივლისის თვეში, პირველად საქართველოს ისტორიაში, მოხდა სამი რეპრესირებული პირის იდენტიფიცირება. მეტად მნიშვნელოვანი დაკარგულითა ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობა, მათი უფლებაც, იცოდნენ თავიანთი წინაპრის ადგილსამყოფელის შესახებ. სწორედ ამიტომ „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია“, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, არ იშურებს ძალას, რომ დაკარგულ პირთა ნეშტები დაუბრუნდეს ოჯახებს, მათი ღირსეულად დაკრძალვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ აჭარაში რეპრესირებულითა შესახებ ისტორიკოსი რამაზ სურმაზიძის ავტობიოგრაფიით, გამოცემულია წიგნი, სახელწოდებით – „ტრაგედია ბათუმში – 1937-1938 წლები“. ასე რომ, საქმე, რომელსაც საუკუნის მტვერი ფარავდა და წინაპართა სასურველი მალავდა, წელში გაიმართა და, იმედია, მალე ფარდა აეხლეძა მდუმარებით მოცულ არაერთ ფაქტს ჩვენი უახლესი ტრაგიკული ისტორიული წარსულიდან.

დიდაა და საქმეში პროფესორ რუსუდან ბერიაშვილის დამსახურება, რომლის აქტიურობით მოხდა დეპარტამენტში იმ სივრცის მოწყობა, რომელიც ამჟამად რეპრესირებულითა 150-მდე ნეშტი განთავსდა გამოსაკვლევად. ასევე, უმნიშვნელოვანია მისი ჩართულობა სამეცნიერო თვალსაზრისით; მადლიერებით საუბრობს მერი გონაშვილი თსუ-ის ადმინისტრაციის როლზე პროექტში მონაწილეობის მხრივ. სწორედ მათი მეშვეობით გამოიყო სივრცე უნივერსიტეტის მეოთხე სასწავლო კორპუსში; ასევე, ხაზგასმით აღნიშნავენ იმ გეგმებზე, რაც სამომავლოდ მათი თანადგომით აქ განხორციელდება; რაც შეეხება სტუდენტებს, აქ უფროსმეტრელები, თავიანთი ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, ახდენენ აღნიშნული ნეშტების განმედას, რითაც მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს საქმის წინსვლას...

ასე, რომ სასამართლო ანთროპოლოგიის დარგს საქართველოში მომავალი აქვს, რაც ამ მიმართულებით თანამედროვე საერთაშორისო მეთოდოლოგიის არსებობას, მეტ კვლევას და სამეცნიერო სტატუსს გულისხმობს საერთაშორისო მასშტაბით...

არსებობს კიდევ შესაბამისი ინტელექტუალური პოტენციალი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, კერძოდ, სასამართლო მედიცინის დეპარტამენტში და ანთროპოლოგიურ ლაბორატორიაში, რისი ერთ-ერთი დასტურია მერი გონაშვილის ნაშრომის პრეზენტაცია სულ ახლახან აშშ-ის სასამართლო მეცნიერებათა აკადემიაში. მერი გონაშვილი ამჟამად ტეხასის სამედიცინო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტის აფილირებული ნერი და საერთაშორისო მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. ამა წლის ზაფხულში თსუ-ში იგეგმება, ამ პროექტისთვის აშშ-დან კოლეგების ჩამოსვლა. მსგავსი კოლაბორაცია უმნიშვნელოვანესია დარგში არსებული სიახლეების დანერგვისა და განვითარებისთვის.

**პროფესორი რუსუდან ბერიაშვილი, თსუ-ის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:**

თსუ-ის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტში წლების წინ დაიგეგმა სასამართლო ანთროპოლოგიის მიმართულების განვითარება, რადგანაც ეს დარგი საინტერესო იყო ჩვენთვის და ეს მიმართულება საქართველოში ასეთი ფორმით არ არსებობდა. საქართველოში არსებობს მეცნიერული ანთროპოლოგია, რომელსაც ლაბორატორია გააჩნია და სპეციალისტებიც ჰყავს, მაგრამ სასამართლო ანთროპოლოგია, კონკრეტული მიმართულებით, რომელიც გამოიყენებს მიზნებისთვისა და არსებული შემთხვევების კვლევას მოიცავს, ამ კუთხით განვითარებული არ იყო. ასეთ კვლევებს ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში ზოგადი ექსპერტები ატარებენ სამედიცინო კრიმინალისტური ლაბორატორიის ფარგლებში. დღესდღეობით, მედიცინაში საინტერესო პროცესებია დანერგული ღრმა, სამეცნიერო მიმართულებით და ჩვენი დანიტერება სასამართლო ანთროპოლოგიით ამანაც განაპირობა. ამ პერიოდში ჩვენს დეპარტამენტში რეზიდენტურას გადიოდა ნიჭიერი, პერსპე-

ქტიული, კითხვის და კვლევის მოყვარული ახალგაზრდა მერი გონაშვილი. მას შეეთავაზეთ, დანიტერესებულიყო ამ დარგით, მოემზადებინა რევერსი და მანაც სურვილი გამოთქვა, რომ სასამართლო ანთროპოლოგიის სპეციალისტი გამხდარიყო. პროფესორ ბესარიონ კლასონიას ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა არსებული საკითხის ირგვლივ. მერმ ლონდონში 2-წლიანი სამაგისტრო პროგრამა გაიარა და მოიპოვა მაგისტრის ხარისხი სასამართლო ანთროპოლოგიაში. ის იყო პირველი ამ მიმართულებით, აქამდე იგი არავის ჰქონია. მერი ამჟამად სადოქტორო თემაზე მუშაობს, რომელიც ძვლების სიციცხლისდროინდელ მოცულობებს და დაზიანებების კვლევას ეხება, მისი დასრულების შემდეგ მას აკადემიური ხარისხი მიენიჭება სასამართლო მედიცინაში. მერი ჩართო „ბათუმის პროექტში“, რომელიც 1937-1938 წლების რეპრესირებულითა ნეშტების იდენტიფიცირებას ეხება და სამუშაოების დიდი ნაწილი ჩვენს ლაბორატორიაში მიმდინარეობს.

სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი ახალ სასწავლო კორპუსში დაბინავდა და ჩვენი გეგმებიც მრავალმხრივია: კარგი იქნება შეიქმნას სამაგისტრო პროგრამები, რომელსაც შესაბამისი სპეციალისტები წარმართავენ, რომელიც ძალიან აქტუალურია. მარტო თეორიული ნაწილით შორს ვერ წავიდეთ; ყოველივე ამას შესაბამისი ლაბორატორია სჭირდება; თსუ-ის ხელმძღვანელობის გულმხმარებელი დამოკიდებულებით, სწორი მიდგომებით, ხელშეწყობით გამოგვეყო ოთახები, შეკვეთილია სტელაჟები, რომელზეც განთავსდება საკვლევი მასალა.

25 მაისს დეპარტამენტში გაიხსნა თსუ-ის სასამართლო მედიცინის სასამართლო ანთროპოლოგიის ლაბორატორია, რომელსაც დაესწრნენ „ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ წარმომადგენლები: ჟაკლინ როდრიგეს გონზალესი (კოლუმბია), პოლ დუგლას ემანოესკი (აშშ), ანდრეს პატინო უმა (კოლუმბია). სამომავლო გეგმები ბევრ აქტიობას მოიცავს - „საქართველოს ნითელი ჯვრის კომიტეტთან“ თანამშრომლობას, ერთობლივ პროექტებში ჩართულობას, ამ მიმართულებით სპეციალისტების მოზადებას, გაიდლაინებზე მუშაობას, დოკუმენტების წარმოებას, რაც საჭიროა სასამართლო ანთროპოლოგიის განვითარებისთვის საქართველოში და ეს ყველაფერი შრომასთან, დროსთანა და დაკავშირებული, ჯერ ის სამუშაოებია ჩასატარებელი, რაც ამ ეტაპისთვისაა შესაძლებელი; მოხლოებით ყველაფერი მიიღწევა და მეტი პერსპექტივაც გადართობა სამომავლოდ. ამჟამად შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში დასაფინანსებლად წარვადგინეთ პროექტი და თუ დაფინანსება მოვიპოვებთ, აქედან ნაწილი ლაბორატორიის კეთილდღეობას მოხმარდება. რას შევძლებთ, ამას მომავალი გვიჩვენებს - თუ უცხოელი მეცნიერები დანიტერესდნენ და ერთობლივი პროექტები განვახორციელებთ, გაფართოვდება შეიძლება ფიქრი. რაც შეეხება ლაბორატორიის მნიშვნელობას, გარდა კვლევითი დანიშნულების, იგი სასწავლო პროცესის ნაწილია, ჩვენთან თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები და რეზიდენტები გადიან სწავლებას, მათ საშუალება ეძლევათ, არა მარტო დაესწრონ ადამიანის ნეშტის გამოკვლევას, არამედ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა გარკვეული სამუშაოების შესრულებაში, რაც არსებული ლაბორატორიის ფარგლებშია შესაძლებელი.

**დარეჯან კოშლაძე  
მანანა ფხალაძე**



გენ-ის საერთაშორისო ღვაწი თბილისის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი – ისაბი კონკურსი „ნიჭ-გეგმა“

25 აპრილი, დნმ-ის საერთაშორისო დღე, ნელს უკვე მეცხრედ, ამჯერად განსხვავებული ფორმატით, აღინიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში: ხელოვნების ნამუშევრების კონკურსი – არტ-გენომი, სტუდენტთა მეცნიერული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას ისახავდა მიზნად. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოება და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი; კონკურსში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU) ბიოსამედიცინო სპეციალობების სტუდენტები, რომლებმაც კონკურსზე ფერწერული და ციფრული ნამუშევრები, ასევე – ნაქარგი და სკულპტურა წარმოადგინეს.

25 აპრილს გამოვლინდნენ კონკურსის გამარჯვებულები: I ადგილი ნინო იზაშვილს (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი) ხვდა წილად, რომელმაც შერეული ტექნიკით შესრულებული ნამუშევარი წარადგინა („Unlocking the Genetic Mysteries: A DrawingRevelation“); II ადგილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა, მარიამ მჭედლიშვილმა, დაიმსახურა („პატარა პრინცი“ – ტილო, ზეთი); III ადგილი – ნინო კუსიანი, ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა (ციფრული ნახატი – „გენომური აპოკალიფსი“).

საპატიო სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები: დათა კეკელიძე, ბესო ადგილობრივი და აფრა რიასი.

გავსაუბრებთ ამ საინტერესო ღონისძიების იდეის ავტორს და ინიციატორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, ეკა კვარაცხელიას, რომელმაც აღნიშნა:

„დღეს უკვე 70 წელი გავმოკრეს იმ დღეს, რაც დნმ-ის ორმაგს-პირალური სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა, კერძოდ,

1953 წლის 25 აპრილს, დაგროვილი სამეცნიერო ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ჯეიმს უოტსონმა და ფრენსის კრიკმა, დნმ-ის სტრუქტურა აღწერეს. 2007 წლიდან, ადამიანის გენეტიკის ევროპის და აშშ-ის საზოგადოებების ინიციატივით, 25 აპრილს დნმ-ის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამავე საზოგადოებების ინიციატივით და ორგანიზებით დამკვიდრდა მთელ მსოფლიოში ამ დღის ესეების კონკურსით აღნიშვნა. საქართველო 9 წლის წინ შეუერთდა დნმ-ის დღის აღნიშვნის ღონისძიებას და, ჩვენი დეპარტამენტის ორგანიზებით, 2015 წელს პირველად, ჩატარდა ესეების კონკურსი თსუ-ში. მაშინ პროფესორი ელენე აზნაიძე გახლდათ დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც მსგავსი ინიციატივების მხარდამჭერი და თანამაზრე იყო, ისევე, როგორც დღეს – პროფესორი თინათინ ტყემალაძე, რომლის ინიციატივით და ორგანიზებითაც არაერთი საინტერესო იდეა განხორციელდა და მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა დეპარტამენტში. აღსანიშნავია, რომ ესეების კონკურსი გენეტიკაში, მსოფლიო მასშტაბით, საჯარო სკოლის უფროსკლასელებისთვის ტარდებოდა და ტარდება დღესაც. როცა საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ამ დღის აღნიშვნას, გენეტიკაში ცოდნის გთვალისწინებით, მივდით გადაწყვეტილებამდე, რომ სტუდენტებისთვის ჩატარებულიყო კონკურსი, რამაც მხარი დაგვიჭირა ევროპის ადამიანის გენეტიკის საზოგადოებამ. კონკურსი, ცხადია, გულისხმობდა და ემსახურებოდა გენეტიკაში ცოდნის გაღრმავებას – სტუდენტს უნდა გამოეჩინა საკითხის ღრმა ცოდნა, მოეძიებინა ლიტერატურა, მიეთითებინა პირველწყარო, რაც მნიშვნელოვანი იყო პლაგიატიზმის შესახებ მისი ინფორმირების თვალსაზრისითაც. ასევე, მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო სტუდენტის დამოკიდებულების გამოკვეთა საკითხის მიმართ. აღსანიშნავია, რომ კონკურსი რვა წლის განმავლობაში ყოველწლიურად ტარდებოდა – პანდემიის დროსაც კი ჩვენი ონლაინრეჟიმში ჩავატარეთ კონკურსი. ამ წლების მანძილზე ღონისძიებამ ჩართულნი იყვნენ სტუდენტებიც და ექსპერტებიც სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, მათ შორის, – უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები და

დარგის სპეციალისტები. –**ესეების ქართულენოვან კონკურსში საერთაშორისო სტუდენტები როგორ ახერხებდნენ ენობრივი ბარიერის დაძლევას?**

– ისინი ქართველ სტუდენტებთან ერთად მუშაობდნენ თემაზე. ცხადია, თემა ერთობლივი მუშაობის შედეგი იყო და ინგლისურენოვან ესეს ქართულ ენაზე თანავეტორი ქართული სტუდენტი თარგმნიდა... აღსანიშნავია, რომ არტ-გენომმა ენობრივი ბარიერის პრობლემაც მოხსნა და საერთაშორისო სტუდენტები კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთნენ კონკურსში.

–**საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ კონკურსის აუცილებელი პირობა გამორჩეული თემების/ნამუშევრების ავტორებისთვის ფულადი ჯილდოს გადაცემაა...**

– დიას, ამას ითვალისწინებს ადამიანის გენეტიკის ევროპის და აშშ-ის საზოგადოებების მიერ დადგენილი კონკურსის ფორმატი. მოგახსენებთ, ესეების კონკურსიც და წლიდანდელი ღონისძიებაც – არტ-გენომი – თსუ-ის და სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოების ერთობლივი პროექტია, ამ საზოგადოებების პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით მოხერხდა დაფინანსება და პრიზები გადაეცათ გამარჯვებულ სტუდენტებს.

–**აღსანიშნავია, რომ წელს დნმ-ის დღე გამოჩეულად ლამაზი ღონისძიებით აღინიშნა, რაც საუკეთესო და ორიგინალური გზა იყო სტუდენტის როგორც სამედიცინო, ისე შემოქმედებით ნიჭის თუ უნარის გამოსავლენად...**

– წელს კონკურსი მიეძღვნა ადამიანის გენომის პროექტის დასრულების 20 წლისთავს. მოგახსენებთ, ეს გახლდათ ძალიან დიდი მნიშვნელობის 13 წლიანი პროექტი, რომელიც 1990 წელს დაიწყო და 2003 წელს დასრულდა. მასში ჩართულნი იყვნენ მეცნიერები მთელი მსოფლიოდან – გაიმიჯრა ადამიანის გენომი, რაც ნიშნავს, რომ დადგინდა დნმ-ის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობა, რამაც გარდამტეხი გავლენა მოახდინა მეცნიერების და მედიცინის განვითარებაზე. ე. ი. ამ ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – დნმ-ის ორმაგსპირალური სტრუქტურის აღწერას და ადამიანის გენომის პროექტის დასრულებას

დაუკავშირდა ეს ღონისძიებები: ესეების კონკურსი და „არტ-გენომი“.

როგორც უკვე ითქვა, წლიდანდელი კონკურსის ფორმატი განსხვავებული გახლდათ – დნმ-ის დღე, ნელს პირველად, ხელოვნების ნამუშევრების კონკურსით აღინიშნა და მასში თსუ-ის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU) ბიოსამედიცინო პროფილის სტუდენტები მონაწილეობდნენ. კონკურსის მიზანი, გარდა გენეტიკის მიმართულებების პოპულარიზაციისა საქართველოში, მეცნიერების მიმართ სტუდენტთა ინტერესის გაღვივება და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება იყო. წარმოდგენილი გახლდათ როგორც ფერწერული ნამუშევრები, ისე – ციფრული ნახატი, ნაქარგი, სკულპტურა.

არტ-გენომის თემა გახლდათ „ადამიანი გენომის პროექტიდან CRISPR-Cas9 გენომის რედაქტირების ტექნოლოგიამდე“.

კონკურსი პირველად ჩატარდა და, ცხადია, არ ეციოდით, რამდენად წარმატებული იქნებოდა, თუმცა ნამდვილად გაამართლა ჩვენი მოლოდინი: სულ 28 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, რაც პირველი ღონისძიებისთვის კარგი შედეგია. კონკურსის ერთობლივად აფასებდა კომპეტენტური ჟიური: ნამუშევრები ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით თბილისის სახელმწიფო სახელმწიფო აკადემიიდან მოწვეულმა პროფესორებმა, ხოლო თემასთან შესაბამისობის კუთხით სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა შეაფასეს. I, II, III ადგილზე გასული სტუდენტების გარდა, რომლებსაც, კონკურსის პირობების თანახმად, ფულადი ჯილდოები გადაეცათ, საპატიო სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ გამორჩეული ნამუშევრების ავტორებიც, მათ შორის, ერთი საერთაშორისო სტუდენტი გახლდათ. შერეული ტექნიკით შესრულების კუთხით საინტერესო იყო, ასევე, თსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტის, მარიამ ფეთიაშვილის ნამუშევარი. გამარჯვებული სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ლაბორატორიულ აქტივობებში:


CRISPR-Cas9 გენომის რედაქტირების ტექნოლოგია.

–**ალბათ ამ ორიგინალური ღონისძიებით დნმ-ის დღის აღნიშვნა ტრადიციულად დამკვიდრდება და კიდევ უფრო მასშტაბური და საინტერესო გახდება...**


– დიას, ვფიქრობთ, არტ-გენომი ყოველწლიურად ღონისძიებად ვაქცივით, რომელიც, მომავალში კიდევ უფრო მეტი სტუდენტი ჩაერთვება არა მხოლოდ თსუ-დან.

ევროპის ადამიანის გენეტიკის საზოგადოება ხშირად მართავს მეცნიერების საზოგადოების წარმომადგენელი, ვესწრები ადამიანის გენეტიკის ეროვნული საზოგადოებების შეხვედრებს. მორიგი შეკრება 10 ივნისს შედგება ადამიანის გენეტიკის ევროპის კონფერენციის ფარგლებში (გლაზგო, დიდი ბრიტანეთი), რომელსაც დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პროფესორ თინათინ ტყემალაძესთან ერთად დავესწრები და წარვადგინო პოსტდოქტორული მოხსენებას. „გენეტიკის მედიცინის სწავლების ინიციატივები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ბოლო 10 წლის განმავლობაში“ – ასეთია ჩემ მიერ წარსადგენი მოხსენების სახელწოდება, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შეეხება გენომური მედიცინის სწავლების მიმართულებით და 2013 წლიდან 2023 წლამდე პერიოდს მოიცავს. ბოლოდროინდელ აქტივობად სწორედ კონკურსი „არტ-გენომი“ იქნება მითითებული. ვამირებს კონკურსის სამედიცინო ნამუშევარი პოსტერზე განვითარებ და ასე გავაცნო საზოგადოებას. ხელოვნების ნამუშევრების კონკურსი, ჩემი ინფორმაციით, პირველად ჩატარდა გენეტიკის მიმართულებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ესეების კონკურსი ევროპაში უფროსკლასელებისთვის ტარდება და სტუდენტებისთვის ხელოვნების ნამუშევრების კონკურსის იდეას შევთავაზებთ ევროპულ კოლეგებს, რაც, იმედია, მოწონებას დაიმსახურებს.

ისაბი ნატო გოლცჰაიმი



I ადგილი - ნინო იზაშვილი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი I Place - Nino Izashvili, GAU



II ადგილი - მარიამ მჭედლიშვილი, თსუ II Place - Mariam Mchedlishvili, TSMU



III ადგილი - ნინო კუსიანი, თსუ III Place - Nino Kusiani, TSMU

ტექნოლოგიის მე-4 სექტორის სტუდენტი „პატარა პრინცი“: ანტუან დე სენტ ეგზიუპერიის ნაწარმოების – „პატარა პრინცი“ სიუჟეტი, დამოკიდებულება პატარა პრინცსა და ვარდს შორის, გახდა ჩემი შთაბეჭდილების წყარო, შემექმნა ნამუშევარი, სადაც ჩემი თვალით დანახულ ვარდს დნმ-ად წარმოვიჩინე; ვეცადე, ვადმოემცა ის, რაც თვალთ მიუწვდომელია და გულთქვის მეშვეობით მივცე მისთვის.

თვის საინტერესოა ფაქტი, რომ „ადამიანის გენომის პროექტის“ ერთ-ერთ მიზანს მკერდის კიბოს გამომწვევი გენის იდენტიფიცირება და იზოლირება წარმოადგენს. ამავე მიზნით ვხედავთ ნამუშევრის ცენტრში მკერდის კიბოთი დაავადებულ ქალს. დნმ-ის მოლეკულის მსგავსად, ნახატის მარჯვენა და მარცხენა ზედა რკოლებში ხორციელდება კომპლემენტარობის პრინციპი – კრიკისა და უოტსონის მიერ სპირალის აღმოჩენის ამბავი კომპლემენტარულია ჩემ მიერ აღნიშნული კონკურსის აღმოჩენისა, რის აღსაწერადაც წარმოვიჩინე ჩემი სასემინარო აუდიტორია. ამასთანავე, გენური ტექნოლოგიების როლი მეუშნეველი ვერ დარჩება. კლონირება კი გენური ინჟინერიის მეტად ხელშეწყობის ნაწილია. ნამუშევრის მარცხენა ნაწილი ამ პროცესის დემონსტრირებაა. მიუხედავად ადამიანთა „არამსგავსებისა“, უნდა აღვნიშნოთ ფაქტი, რომ ადამიანთა გენების 99,9% მსგავსია და მხოლოდ 0,1%-ით განსხვავდებით. ნახატის ქვემოთ თითის ანამეზის იდენტიფიცირება და ფონზე „განსხვავებულ“ ადამიანთა სილუეტების არსებობაც ამ ფაქტს ემსახურება. და რადგან 21-ე საუკუნის წინაშე მწვავედ დგას ენდემურ სახეობათა გადაშენების საკითხი, გენური ტექნოლოგიებით შეგვიძლია პრობლემის გადაჭრის გზებს ჩავეჭვოდით, რასაც მათი დნმ-ის სექვენტირებით და შემდგომი რეალიზებით მივაღწევთ. აღნიშნული გამოხატულება წარმოადგენს გალაპავის პინგვინის, ალბატრონის და თოლის არსებობა მზის ფონზე. მზის, რომელიც პროექტის წარმტეხისა და სივრცის სიმბოლოდ გვესახება.

საინტერესოა თავად სტუდენტების დამოკიდებულება საკუთარი შემოქმედებისადმი – I, II, III ადგილზე გასულმა სტუდენტებმა მათ მიერ შესრულებული ნამუშევრების ახსნა ასე ორიგინალურად შემოგვთავაზეს: **ნინო იზაშვილი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მე-2 სემესტრის სტუდენტი („Unlocking the Genetic Mysteries: A DrawingRevelation“):** ჩემი ნამუშევარი თანამედროვე, პოსტერის სტილშია შესრულებული. მინდოდა ვადმოემცა მოგ ზაურობა ადამიანის გენომის იდუმალ სამყაროში. ქალაქის ცენტრში გამოკვეთილია გული, რომელიც ადამიანის სივრცის სიმბოლოდ დატვირთვას ატარებს. გულის ირგვლივ წრიული ფორმით გარშემორტყმული არიან ადამიანები, რომელთა უმეტესობა ატარებს ნიღაბს, რაც წარმოადგენს

ადამიანის გენომთან დაკავშირებულ სირთულეებსა და გამოწვევებს, თუმცა, წრის ზედა, შუა ნაწილში არის ადამიანის ფიგურა ნიღბის გარეშე, რომელიც გენომის საიდუმლოებების გახსნასა და მისი ნამდვილი ბუნების გამოვლენის პოტენციალის სიმბოლოა. ქალაქის მარცხენა მხარეს, სისხლის ნითელი უფრედება ნაჩვენებია, ეს ხაზს უსვამს სისხლის უფრედების მნიშვნელობას ადამიანის ორგანიზმში და მათ კავშირს გენომთან. მარჯვენა მხარეს კი ბირთვი თავისი ორგანოებით, რაც წარმოადგენს უფრედულ კომპონენტებს, რომლებიც გადაამწყვეტ როლს ასრულებენ გენომის ფუნქიაში. ქალაქის ქვედა ნაწილში არის მიკროსკოპი და სკანდელი მილი, რომელშიც გოგონა, გარშემორტყმული ყვავილებით. ეს კი, წარმოადგენს მეც-

ნიერულ კვლევას და ექსპერიმენტს, რომელიც ჩართულია ადამიანის გენომის შესწავლაში. გოგონა სიმბოლოდ განასახიერებს გენეტიკურ პოტენციალს და ვაგულებს მომავალ თაობებზე. პატარა ნურტილების გამოყენება მთელ ნახატზე ქმის ტექსტურირებულ ზედაპირს და ჩრდილებს, რაც სიღრმესა და განზომილებას მატებს ნამუშევარს. ნახატი ხასიათდება მუსიკონებისა და ცოცხალი ფერების კომბინაციით, რაც ვიზუალურად მიმზიდველ კომპოზიციას ქმნის. ტექსტი „HUMAN GENOME“ თვალსაჩინოდ არის მოთავსებული ქალაქის ზედა მხარეს, ეს ემსახურება ცენტრალურ ფოკუსს, რომელიც ვადმოსცემს ნახატის თემას. **მარიამ მჭედლიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსი-**

დასაქმების ფორუმი – 2023

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ტრადიციულად ყოველწლიურად ტარდება დასაქმების ფორუმი. წელსაც ღონისძიება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.



ფორუმში მონაწილე 35-მა სამედიცინო კომპანიამ სხვადასხვა მიმართულებით 200-მდე ვაკანსია წარმოადგინა. დასაქმების მსურველ სტუდენტებს, ასევე, კურსდამთავრებულებს, შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოში წამყვანი კლინიკების, ფარმაცევტული და სადაზღვევო კომპანიების მუშაობის სპეციფიკას. გამოცხადებულ ვაკანტიურ პოზიციებზე მსურველებმა საკუთარი კანდიდატურა ადგილზევე წარადგინეს.



ამავე დღეს, სამედიცინო კომპანიის წარმომადგენელთათვის, გაიმართა ახალი ვებგვერდის sms.tsmu.edu/career პრეზენტაცია. აღსანიშნავია, რომ ონლაინ პლატფორმა ვიზიტორებს საშუალებას მისცემს მიიღოს ინფორმაცია დასაქმებისა და სტაჟირების პროგრამების, ლექცია-სემინარების და სხვა დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, ასევე, გაეცნოს სამედიცინო ლიტერატურას. დასაქმების ონლაინ პლატფორმა განკუთვნილია სტუდენტთათვის, კურსდამთავრებულთათვის, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და რეზიდენტებისთვის.



ქართული ენის დღეს მიეძღვნა



ქართული ენის ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ღონისძიების ორგანიზატორი:

„პანდემიით გამოწვეული იძულებითი პაუზის შემდეგ, წელს განსაკუთრებულად მოვემზადეთ. ეს ახალგაზრდები ნინოწმინდის, წალკის, მარნეულის რაიონების წარმომადგენლები არიან, ერთი ცენტრისგან. მათ უყვართ ქართული ენა და საქართველო. ამიტომაც განსაკუთრებულად ვაფასებთ მათ მონაწილეობას. ასეთი ახალგაზრდების აღზრდისთვის მადლობა მინდა ვუთხრა მათ მშობლებს, ოჯახს, სკოლას, რადგანაც სამშობლოს სიყვარული ოჯახებიდან და სკოლიდან, ბავშვობის წლებიდან მოდის. ამ გოგონებებმა დიდი მონაწილეობით შეისწავლეს ქართული ლექსები, სიმღერები, ცეკვები; ბევრთადაც უფლებებიან ანატომიურ და ბიოლოგიურ სამედიცინო ტერმინოლოგიასაც, იმედია, ყველაფერი ამის გათვალისწინებით, შემდგომში წარმატებით მოხდება მათი საზოგადოებასთან ინტეგრირება, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მათთვისაც და ჩვენი რეალობისთვის.“

საქართველოში სასწავლებლად ჩამოსული თუ ჩვენს მიზანზე მცხოვრები არაქართველთა შორის მოსახლეობისთვის ქართული ენის სრულფასოვნად დასწავლა და მისი სიდიადესთან ზიარება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული ენის ცენტრის პედაგოგიური კოლექტივის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

ამიტომაცაა, რომ ცენტრში ტრადიციულად ქცეული ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვა; პანდემიის პერიოდში, გარკვეულწილად შეაფერხა სასწავლო პროცესი და, შესაბამისად, ღონისძიებების გამართვაც ვერ ხერხდებოდა, მაგრამ მიმდინარე წლის 20 აპრილს აქ „ქართული ენის დღისადმი“ მიძღვნილი ღამის შეხვედრა შედგა.

ღონისძიებას ქართული ენის ცენტრის პედაგოგები, თსუ-ის ფაკულტეტების დეკანატების წარმომადგენლები და საერთაშორისო სტუდენტები ესწრებოდნენ.

ჩვენ გვიყვარს საქართველო, ჩვენ გვიყვარს ქართული ენა – ამ წარწერებით მკერდ-დამშვენებული ნითელი ბაფთებით წარდგინეს აუდიტორიის წინაშე თსუ-ის ქართული ენის მოსამზადებელი განყოფილების 4+1 პროგრამით ჩარიცხული სომხურენოვანი ჯგუფის პირველი და მეორე ჯგუფის ახალგაზრდები: ტელმან მხითარაძე, ფელიქს არუთინიანი, სედა არზუმანიანი, დიანა მანასიანი, სონა ახვრდიანი, კაროლინა აკოფიანი, მარგარიტა კაზარაძე, დავით პოდოსანი, სირანუშ პალიანი, კიმა კარამიანი, მილონა მადლოანი, ერიკ დანოიანი, ვარლუჰ ხაჩატურიანი, რომელთაც – საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა სომეხმა გოგონებებმა, ქართველ მწერალთა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები წარმოადგინეს – ამბეცყველეს შოთას, ილიას, გალაკტიონის, ანას, მუხრანის, ირაკლი აბაშიძის პოეტური სტრიქონები; შეასრულეს ქართული და სომხური მელოდები, იცეკვეს „აჭარული“...



რომ კარგ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ, რაშიც, უდავოდ, იქნება სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული ენის ცენტრის დიდი წვლილი. ეს ყველაფერი ხომ იმ დიდ საქმეს სჭირდება, რასაც თქვენ დღეს ეჭიდებით!“

„საზიემო შეხვედრა ქართულ ენასთან“ საქართველოს პიზნით დასრულდა და კიდევ – ახალგაზრდების ერთობლივი შემახილით – „ჩვენ გვიყვარს ქართული ენა“, „ჩვენ გვიყვარს საქართველო!“, რაშიც ყველანი ერთად ვრწმუნდებით, რამეთუ სიყვარულის გარეშე ყველაფერი არაფერია, სამშობლოსა და მისი ხალხის სიყვარული კი ღვთის საჩუქარი და დიდი მადლია.

დარეჯან კომლაძე

სმოვნა

პროფესორი თამაზ თამაზაშვილი

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ნიუ-იორკში (აშშ), გარდაიცვალა მსოფლიო დონის მეცნიერი, ექიმი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, უზადო პროფესიონალი, დიდი მამულითმყოფი, სულით და გულით ქართველი – თამაზ თამაზაშვილი.



და დაწერა, მომავალი თაობების, პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების აღზრდა იყო ბატონი თამაზის ცხოვრების მთავარი აზრი.

იგი დაიბადა 1953 წელს ქ. წნორში (სიღნაღის რ-ნი). 1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. შემდეგ მუშაობდა გურჯაანის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს ქირურგად; 1979-1981 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიულ სნეულებათა N2 კათედრის კლინიკური ორდინატორი; შემდეგ ამავე კათედრის ასისტენტი, დოცენტი; 1990 წლიდან კი – პროფესორი.

პროფესორი თამაზ თამაზაშვილს გამოქვეყნებული აქვს 105 სამეცნიერო ნაშრომი, 4 მონოგრაფია: „ნაწლავთა მწვავე შეზოგადებით გაუვალბობის ოპერაციის შემდგომი მკურნალობა“ (1992 წ.), „ნაწლავთა უკმარისობის სინდრომი ქირურგიაში“ (1994 წ.), „მუცლის ღრუ-ნირება“ (1996 წ.), „პარენტინალური და ენტერალური კვება ქირურგიაში“ (1996 წ.). საკანდიდატო დისერტაცია – „წერილი ნაწლავის მწვავე შეზოგადებით გაუვალბობის შემდგომი მეტაბოლიზმის დარღვევათა პათოგენეზური თერაპია“ – დაიცვა 1981 წელს; სადოქტორო დისერტაცია – „ენტერალური კვება და ნაწლავთა დეკომპრესია აბდომინალური ქირურგიაში“ კი – 1987 წელს. ავტორია 40 გამოგონების. 1989 წელს, მეცნიერებაში მიღწეული წარმატებებისთვის, მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

პროფესორი თამაზ თამაზაშვილი, ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისთვის, 1994 წელს მიიწვიეს პენსილვანიის უნივერსიტეტში. მანვე აშშ-ში, მრავალი წლის წინ, საკუთარ თავზე გამოსცადა თმის გადანერგვის ეფექტურობა და ამის შემდეგ, პირველმა ამერიკეკაცისაში და, ასევე, საქართველოში, 1997 წელს შემოიტანა და რეალიზაცია აქცია ბუნებრივი თმის გადანერგვის ტექნოლოგიები, დაარსა კლინიკა „თალიზი“, 2005 წელს – კლინიკა – „ჰეალიანი ინტერნეშნლი“.

უდიდესია ბატონი თამაზის წვლილი საქართველოში ახალი – ესთეტიკური ქირურგიის – დარგის დაფუძნებაში.

მედიცინისადმი გამორჩეული ერთგულება, პროფესიონალიზმი, სიახლეების მუდმივი ძიება

Donate Life Registry), საოპერაციო ბრიგადის /ჯგუფის ხელმძღვანელად. ტრანსპლანტოლოგიაში მიღწეული წარმატებებისთვის, 2005 წელს, გადაეცა ამერიკის ქსოვილთა ბანკის („MTF-Biologics“) უმაღლესი ჯილდო – „ოქროს ხელთათმანი“. აირჩიეს ამერიკის კოსმეტოლოგი ქირურგიის აკადემიის წევრად, თმის აღდგენითი ქირურგიის მსოფლიო ასოციაციის (ISHRS) წევრად, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

პროფესორი თამაზ თამაზაშვილი, ასევე, გახლდათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი თმის გადანერგვის დარგში. მან, მრავალწლიანი კვლევების შემდეგ, 2010 წელს, გამოცა ნიგნი, სადაც დაწვრილებით აღწერილია თმის მორეგულირებადი ფაქტორების რა-დიაციის გავლენა ალოპეციის განვითარებაში. ბოლო დღემდე ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და მუშაობდა ლეროვანი უჯრედების როლზე ალოპეციის მკურნალობაში, ჭა-ლარის დაძლევის და შეჩერების მექანიზმებზე. სამწუხაროა, რომ მან ბოლომდე ვერ შეძლო ამ კვლევების სამკარაოზე გამოცხადება.

პროფესორმა თამაზ თამაზაშვილმა წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო მედიცინაში; მის მიერ განვლილი გზა კი ჩვენთვის, მისი კოლეგებისთვის, ნათელი მაგალითია იმისა, რომ სათანადო ქმედებით, შრომით და სწავლით „ამერიკული ოცნების/სტანდარტების“ რეალიზაცია ქართველებსაც ხელგვეწიფება.

პროფესორი თამაზ თამაზაშვილის გარდაცვალება დიდი დანაკლისია სამედიცინო სფეროსა და, მთლიანად, საქართველოსთვის.

ირაკლი ზაპინაშვილი, კლინიკა „ჰეალიანი ინტერნეშნლი“ დირექტორი, ზოგადი და პლასტიკური ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

უნივერსიტეტის მონაწილეობა თსუ-ის პროფესორების ავტორიზაციაში

გამოცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ეკა კვარაცხელიას და მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ თინათინ ტყემალაძის, მონაწილეობა – „იშვიათი დაავადებები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ინტეგრირებული მიდგომა“.

იშვიათი დაავადებები გლობალური ჯანდაცვის მზარდად გამოკვეთილი პრობლემატია – მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ცალკე აღებული, იშვიათია, ჯამურად კი მსოფლიოს მოსახლეობის, დაახლოებით, 6%-ია დაავადებული, რაც, დაახლოებით, 400 მილიონ ადამიანს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მწირია სპეციფიკური ლიტერატურა ქართულ ენაზე იშვიათი დაავადებების მიმარ-

თულებით. წარმოდგენილ მონოგრაფიაში განხილულია იშვიათი დაავადებების ყველა ასპექტი, როგორც მსოფლიოში, ასევე, საქართველოში.

მონოგრაფია, გარკვეულწილად, იქნება გზამკვლევი იმ ექიმების ფართო სპექტრისთვის, რომლებიც მონაწილეობენ იშვიათი დაავადებების დიაგნოზირებაში, მართვასა და მკურნალობაში. გარდა ამისა, ნიგნი მოიცავს სასარგებლო ინფორმაციას იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტებისა და ოჯახებისთვის.

ნიგნი განხილულია 25 იშვიათი და უნიკალური კლინიკური შემთხვევა საქართველოდან, რომელთა დიაგნოზი დადასტურდა მთლიანი ეგზომის ან მთლიანი გენომის სექვენირებით.

ნიგნი გამოცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

საჯარო ღია დღე თსუ-ში – ტყუპების როლი მედიცინაში



ლექციას უძღვებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი დავით ცხომეიძე, რომელმაც ისაუბრა ტყუპების იდენტიფიცირების მნიშვნელობაზე, წარმოადგინა სხვადასხვა განმასხვავებელი ნიშნის სილმისეული ანალიზი.

2023 წლის 27 აპრილს, ივ. თარხნიშვილის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ორგანიზებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ღია დღე: „ტყუპების როლი მედიცინაში“.

პროფესორ დავით ცხომეიძესთან ერთად ღია დღეში თანამომხსენებლებად ჩართულნი იყვნენ თსუ-ის სტუდენტები: ივ.თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების გენერალური მდივანი ივლიანე სურმაგა; დენის ჯოისი; ცისანა უგულავა.

სტუდენტთა ნაგუშაჩების გამოფენა და კულტურის ხელოვნების შერწყმის გამოფენა და ფანჯარა



შემოქმედებითი ნიჭით გამოჩენილი სტუდენტებისთვის თსუ-ში ყველა პირობაა შექმნილი და ხშირად არაერთი საინტერესო კულტურული ღონისძიების მასპინძელიც სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტია. ერთი ასეთი ღონისძიება, რომელიც უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, სტუდენტთა ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრების გამოფენაა. დასამახსოვრებელი იყო ამ ორიოდ წლის წინ გამართული გამოფენა, რომელიც ჯერ კიდევ პანდემიის მიწურულს, ლია სივრცეში, ეპიდემიოლოგიური რეგულაციების დაცვით ჩატარდა და დამთავლებულა დიდი ინტერესი და მონაწილეობა დაიმსახურა. ახლანდელ გამოფენაში სივრცე ახალბედა I, II, III, IV სემესტრის სტუდენტებს დაეთმო და ეს გამოფენაც ისეთივე შთაბეჭდილებები და ნარმატიული გამოდგა, როგორც პირველი.

ღონისძიება კულტურის ცენტრის და სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლივი ძალისხმევით და ორგანიზებით ჩატარდა. კულტურის ცენტრის დირექტორი და გამოფენის ინიციატორი, ბატონი ბადრი მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ პროექტის ნარმატიული ხატვით დაინტერესებულ, შემოქმედ სტუდენტთა ნიჭიერებამ და მონაწილეობამ განაპირობა, რომლებიც, როგორც ადრე, ახლაც აქტიურად ჩაერთნენ გამოფენისთვის მზადებაში, თუმცა ღონისძიება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით და ინფრასტრუქტურის სამსახურის დახმარებით შედგა, რისთვისაც დიდ მადლობას უხდის მათ.

გამოფენის გახსნის ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა კულტურის ცენტრთან არსებული სახელოვნო ჯგუფების მიერ შესრულებული მუსიკალური ნომრები. დამთავლებულა შორის, სტუდენტებთან ერთად, სტარბობდნენ თსუ-ის სხვადასხვა თაობის კურსდამთავრებულები, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ იმ შესაძლებლობის გამო, რასაც დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს შემოქმედებითი კუთხით განვითარების თვალსაზრისით.

გამოფენაზე ნარმატიული იყო სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრები. საინტერესო იყო პროფესიულ თემაზე შესრულებული, კერძოდ, ექიმის პროფესიის ამსახველი ნახატები. თუმცა გამოფენა თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და ყურადღებას იქცევდა მარიამ სიხარულიძის, ლევან ჯვარაცხელიძის, გიორგი ბერიძის, ანა ჩხილაძის, ნინო ხოლომეშვილის, ანა დარბაზაშვილის, ანა ავეტისიანის, მარიამ ჩხაიძის,

ელენე ქარდავას, ასპანია ებოვას, მარიამ ასათიანის, ვერიკო გერგაულის, თამარ სოსხაძის, ანი ადამიას ნამუშევრები. ჩვენ ვცადეთ რამდენიმე მათგანთან გასაუბრება, რომლებმაც სიამოვნებით გაგვიზიარეს შთაბეჭდილებები:

**ანა დარბაზაშვილი**, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი:

გამოფენაზე მესამედ ნარმატიული ნამუშევრები, თუმცა თსუ-ში გამართული გამოფენა უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე სხვა გამოფენებში მონაწილეობა. ვხატავ ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან და ამ პერიოდში დანერგე სასკოლო ფურნალებსა და გაზეთებშიც იბეჭდებოდა ჩემი ნახატები. მართალია, პროფესიული განათლება არსად მიმიღია, მაგრამ ერთი უპირატესობა მქონდა – ბავშვობიდანვე შემიძლო დავკვირვებოდი მამას, რომელიც პროფესიით მხატვარია, ბევრი რამ მესწავლა მისგან. 10 წლის ასაკიდან დაიწყე ხატვა და მშობლების დახმარებით თანდათან „გაინაწიე“. ვხატავ შეკვეთითაც – ჩემი რამდენიმე ნახატი აუქციონზეც გაიყიდა თბილისში. ამან სტიმული მომცა, უფრო მეტი მეშეშავა. მიხარია, რომ ამ გამოფენით ბევრმა გაიაცნო, ბევრი დაინტერესდა ჩემი ნამუშევრებით, ჩემი სურვილიც ეს იყო – მინდოდა საუნივერსიტეტო სივრცეში სხვა კუთხითაც წარმოეჩინა შესაძლებლობები. რაც შეეხება პროფესიას, რომელიც ავირჩიე, ჩემთვის მართლაც საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუმცა, ვფიქრობ, ექიმობას სიამოვნებით შევუთავსებ ხატვას.

**ანა ჩხილაძე**, სტომატოლოგიის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტი:

ხატვით ბავშვობიდანვე დაინტერესებული ვარ. დავამთავრე სამხატვრო ათწლედი და ჯერ კიდევ ბავშვობაში მივიღე მონაწილეობა გამოფენაში. ცხადია, ბევრად მნიშვნელოვანი იყო თსუ-ში გამართული გამოფენა, სადაც 3 ნამუშევარი წარვადგინე. ძირითადად ფერწერაში ვმუშაობ, თუმცა მაინტერესებს გრაფიკაც და ამ უნარშიც მოცინავ კაკუთარ შესაძლებლობებს. დაინტერესებული ვარ, ასევე, დიზაინერობით და მომავალში, ალბათ, ამ მიმართულებითაც ვეცდები განვითარებას. ამ გამოფენით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან დიდი იყო ჩემი თანატოლების (და არა მხოლოდ მათი) დაინტერესება. ჯერ კიდევ მანამ, სანამ თსუ-ის სტუდენტი ვიყავი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე ბევრი მსმენოდა, ვიცოდი, რომ აქ შემოქმედებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის ფართო ასპარეზია. მიხარია, რომ, მართლაც, ჩვენს უნივერსიტეტში ხელოვნების ნებისმიერ სფეროში შეგიძლია საკუთარი შე-

საძლებლობების წარმოჩენა. მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ში სწავლის პარალელურად რთულია ხატვასაც დაუთმო დრო, მე ეს შეეძელი და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

\*\*\*

ახლანდელ გამოფენა კულტურის ცენტრთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფების ბოლოდროინდელი ნარმატიული ქვეყნის მასშტაბით გამართულ კონკურსებსა და ფესტივალებზე: ახლანდელ გამოფენაზე გაზეთებში (ლოტარია – **დ. რატიანი**) და გოგონათა ტრადიციული მუსიკისა და სიმღერის ანსამბლმა „დეკამ“ (ხელმძღვანელი – **დ. რატიანი**, ხალხურ საკრავთა ჯგუფის ხელმძღვანელი – **გ. ტაბაძე**) მონაწილეობა მიიღეს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარებულ „თბილისის საგუნდო მუსიკის მე-13 საერთაშორისო ფესტივალი“ და დიდი მონაწილეობა დაიმსახურეს; ასეთივე ნარმატიული იყო კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავეებისა (მთავარი ქორეოგრაფი – **დ. უგრეხელიძე**, ქორეოგრაფი – **ი. კუპრევილი**) და თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების ანსამბლ „ვეგას“ (ხელმძღვანელი – **ი. კვიციანი**) გამოსვლა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო სტუდენტურ-ქორეოგრაფიულ ფორუმ-ფესტივალზე – „ტერფსიორუმ 2023“. ფესტივალი მიეძღვნა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან – 100, უნივერსიტეტში ქორეოგრაფიული მიმართულების დაარსებიდან – 30 და ფორუმ-ფესტივალის დაარსებიდან 10 წლისთავს. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 20-მა ანსამბლმა საქართველოდან და უცხოეთიდან.

დაბოლოს, თსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებული ვოკალური ანსამბლის დიდი აღიარება: როგორც გაზეთის წინა ნომერში ანსამბლის შესახებ მომხატვრული სტატიის შექმნის მიზნით, ვოკალური ანსამბლი მაღალი დონის საგუნდო მუსიკის კონკურსისთვის ემზადებოდა. საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-7 ეროვნული კონკურსის („საგუნდო ეროვნული კონკურსი 2023“) აპრილში ჩატარდა და მასში ახალგაზრდა შემსრულებლები იღებდნენ მონაწილეობას ქვეყნის

მასშტაბით. მონაწილეებს აფასებდა ფიური უცხოელი და ქართველი პროფესიონალი მუსიკოსების შემადგენლობით. ვოკალურმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი – მარიამ არველიძე) ფინალურ ტურში წარმატებით გადაინაცვლა და, კომპეტენტური ფიურის გადაწყვეტილებით, საპატიო ოქროს მედალიც



დაიმსახურა. ასეთ მნიშვნელოვან კონკურსში მიღებული ასეთი შედეგი დიდი აღიარებაა ნებისმიერი ანსამბლისთვის. კმაყოფილია ანსამბლის ხელმძღვანელი, მარიამ არველიძე: „მადლობელი და დედებითი ემოციებით სავსე ვარ. პირადად, როგორც ხელმძღვანელი, ნამდვილად ველოდი კარგ შედეგს და ჩემი ერთობლივი შრომის დაფასებას. ეს არის დიდი აღიარება, რაც, ვფიქრობ, ღირსეულად დავიმსახურეთ.“

გულწრფელად ვულოცავთ ანსამბლს ამ დიდ ნარმატიულ და, გვჯერა, მომავალშიც არაერთხელ გახარებენ გულშემატკივარს და გააგრძელებენ მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრებით და მიღწევებით გამორჩეული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტრადიციებს.

ნატო ბოლქვაძე

ინტელექტუალური თამაშები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტი ახალგაზრდებს ინტელექტუალური თამაშებით ახალისებს.



საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყოველ სემესტრში ტარდება ვიქტორინა – „რა, სად, როდის“. გამონაკლისი არც ეს სემესტრი იყო. ხალისიან, გადამწყვეტ, დაძაბულ პაექრობაში მონაწილეობა მიიღო თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისგან შემდგარმა ოცდათორმეტი გუნდმა. საუკე-

თესო შედეგები აჩვენეს გუნდებმა: „აგენტი - 017“, „მშობელთა კრება“, „ჩედარი“, „304 - 304“, „ანიმე აქსესუარები“, „ვილიზის წრე“, „რატომ ბრაზობ, სოსო“, „იუგულის კაცები“, „ბომბასტიკ საიდ აი“.

18 აპრილს გაიმართა ინტელექტუალური თამაში – „ჯეპარდი“. თამაშმა დიდი გამოხმაურება და ინტერესი გამოიწვია; დაძაბულმა და საინტერესოდ წარმართულმა პაექრობამ გამარჯვებული გუნდები გამოავლინა: „ეპილატია და სტი-პენდია - 2“ (ხეივან გვარამია და საბა გურგენიძე); „ლიბანი ბიჭები“ (ოთარ გიგოლაშვილი და დიმიტრი დგუბაძე); „მორკინალი“ (მარიამ ნიკლაური და სანდრო ჯღამაძე).

ბანიანი-2023

თსუ-ის სტუდენტები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ინტერესთა მრავალფეროვნებით. სამედიცინო უნივერსიტეტი ის ადგილია, სადაც თავს იყრიან სპორტის, ხელოვნების, ინტელექტუალური თამაშების და ა.შ. მოყვარული ახალგაზრდები; თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა კი მასში მალურად ცდილობს ყველას ინტერესი გაითვალისწინოს.



23 აპრილს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისა და Trailab-ის პარტნიორობის ფარგლებში, სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა TBILISI Adventure/Run -თბილისის სათავგადასავლო გარბენი-2023-ში.

მართაობში გუნდური პირველი ადგილი სწორედ თსუ-ის სტუდენტებმა დაიკავეს. რაც

შეხება ინდივიდუალურ შედეგებს, თსუ-ის სტუდენტებს შორის საუკეთესო იყვნენ: ალანოვ საიფი, აკმაი კუმარი, დერიკ სალდანი, ბექა კობალეიშვილი.

პაპატიანი შუბითიკა გედიციის ფაკულტეტის VIII სემესტრის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი, EMSA-თბილისის პრეზიდენტი